ნაცნობი მეტოქე

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის "დინამოს" სტადიონი. 18 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "ანთალიასპორი" (ანთალია) 3:2 (1:0).

"დინამო": იმნაძე (გაბელია), პაიკიძე, ანდღულაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (თავაძე), კაკილაშვილი (იაშვილი), სვანაძე, ჯოხაძე, ჟვანია, ცავა (არზიანი), გურული (მესხი).

"ანთალიასპორი": მალი ოზთურქი (ფიქრეთ ილმაზი), აქიუნ ჩოლუქოღლუ, თაიფუნ გიურსელი, თურან შენლერი, ქადირ არქამი, ბიულენთ დემირქანლი, მეჰმედ ოზყული (აქინ გოდერლერი), მეთინ შაჰინი, ორქან კისრისჩილარი (მუსტაფა დალი), ოსმან არსლანი, ორან იენიგიუნი.

მსაჯი: მ. მიმინოშვილი (თბილისი).

მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში საკმაო ხნით შეწყდა და ამ პერიოდში ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდები ინტენსიურ საწვრთნელ მეცადინეობას ეწევიან, ამასთან მართავენ საკონტროლო შეხვედრებს. სწორედ ამ პროგრამით მიიღო გუშინ თბილისის "დინამომ" თავის სტადიონზე თურქეთის საკლუბო გუნდი "ანთალიასპორი".

სხვათა შორის, ეს ორი გუნდი წლეულს უკვე შეხვდა ერთმანეთს. დინამოელები თებერვალში სტუმრად იმყოფებოდნენ თურქეთში, ქ. ანთალიაში შეხვდნენ ამ გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

მასპინძლებმა მსაჯის სასტვენისთანავე შეუტიეს, მაგრამ მათს ინდივიდუალურ გასვლებს სიმწვავე აკლდა და ამიტომაც საკმაო დრო დასჭირდათ მიზნის მისაღწევად. მე-17 წუთზე ცავამ მიუსწრო პარტნიორის ჩაწოდებას საჯარიმო მოედანზე და დაუყოვნებლივ გაგზავნა ბურთი ბადეში - 1:0. ტაიმის მიწურულს თბილისელებს ანგარიშის გაზრდის საშუალება მიეცათ, როცა მსაჯმა სტუმრების კარში 11-მეტრიანი დანიშნა, მაგრამ ცავამ უზუსტოდ დაარტყა.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე არსლანმა პენალტით გაათანაბრა ანგარიში, რომელიც ტაბლოს 53-ე წუთამდე შემორჩა. ამჯერად მესხმა გაიტანა მეორე პენალტი და დააწინაურა "დინამო". შემდეგ მესხი-ცაავას სწრაფ კომბინაციას მესამე გოლი მოჰყვა "ანთალიასპორის" კარში - 3:1. თურქეთის გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა დალმა მეორე ბურთი გაიტანა და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:2 დინამოელთა სასარგებლოდ.

თბილისელებმა 16 ფეხბურთელი გამოიყვანეს მინდორზე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მათთვის ამ მატჩს საწვრთნელი ხასიათი ჰქონდა.

უ. უნგიაძე.
"ლელო", 19 ივნისი, 1982 წ.